

- მუზეუმში ვერაფერს რომ ვეხები, უსამართლობა მგონია, - მითხრა ღიმილით. თვალებსა და ხმაში სევდა ედგა, როგორც ყოველთვის, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში.

ვლელავდი მასზე, მაგრამ არ ვიცოდი, რით დავხმარებოდი. ვიცოდი, ოდესმე უკეთ გახდებოდა, თუმცა თვითონ არ სჯეროდა ამის და მისი გადარწმუნება ჩემთვის შეუძლებელი ჩანდა.

ყავის ფინჯანი ახლოს მივუწიე.

- გაცივდება, - ვუთხარი, რადგან არ ვიცოდი, სხვა რა მეთქვა. არ შემეძლო, მისი ლაპარაკისთვის მესმინა მუზეუმებსა და ხელოვნებაზე, ძალიან ხშირად არ მესმოდა მისი.
- არ მინდა, - წარბები შეკრა, - უნდა შეეხო, რომ ბოლომდე იგრძნო. სუნი უნდა შეიგრძნო, ტექსტურა, ისტორია, პრინტი, სიძველე ან სინორჩე. გესმის?
- ჰო, - გამეღიმა, რადგან ძალიან კარგად ვხვდებოდი, რომ სულაც არ მესმოდა. მანაც გამიღიმა.
- არ გესმის, - უნდა მივმხვდარიყავი, მისმა ხმამ რომ უჩვეულოდ მძიმედ გაიჟღერა, მაგრამ მე მის სიმძიმეს მიჩვეული ვიყავი, - არ გესმის, - გაიმეორა უფრო ჩუმად, მაგრამ ამჯერად მის ხმას თითქოს ხალისი შეემატა.

როცა მესამედაც მითხრა, რომ არ მესმოდა, თვალეში გაოცება და სიმსუბუქე ედგა. ისე ბავშვურად გაოცებული ხმა ჰქონდა, კინაღამ გამეცინა. თვალეში გაფართოვებოდა და ოდნავშესამჩნევად იღიმოდა. მომეჩვენა, რომ ამ აღმოჩენით ბედნიერი იყო, თითქოს რაღაც ტვირთი მოეხსნა მხრებიდან. მერე ყავის ფინჯანი აიღო და მოსვა.

- იმას ვამბობდი, რომ ხელოვნებას უნდა შეეხო. მისი ყველა ნაკლი უნდა იგრძნო, შენი სხეულის მეხსიერებაში აღბეჭდო. ამიტომაც არ მიყვარს, როცა ამბობენ, რომ შეხებით შეიძლება ხელოვნების ნიმუში დააზიანო. პირიქით, მართლა. შეხედავ და მიხვდები, რომ ლამაზია, მაგრამ არაფერს გაგრძნობინებს, არც ტკივილს, არც სიხარულს, არც შვებას - არაფერს. მთავარი შეხებაა.

არაფერი მითქვამს. ისევ ჩუმად ვიყავი, როგორც ყოველთვის. ვუყურებდი, ვფიქრობდი, როგორ მიყვარდა და თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რომ ვერ ვუგებდი.

იმ საღამოს გულდასმით შევისწავლე. დავაკვირდი მის ხელებს, რომლითაც ყავის ფინჯანი ეჭირა, მის თვალებს - მუდმივად სევდიანს, ხელოვნებაზე ლაპარაკისას რომ აინთებოდნენ ხოლმე.

რამდენიმე საათი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ყოველთვის მინდოდა, მეც ისე ვცვარებოდი, როგორც ის, რაც ასე ალაფრთოვანებდა მის სულს, მაგრამ იმ საღამოს მაინც მოვახერხე, მისთვის ყური დამეგდო.

თავს ვუქნევდი, ვუღიმოდი, და ვშიშობდი, რომ ვერ მოვასწრებდი, დამემახსოვრებინა. ყავის ფინჯანი მაგიდაზე რომ დადო, მისკენ ხელი გავიწვდინე. ვაპირებდი, ხელზე შევხებოდი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის ამის ნება მოეცა, გაიცინა.

- არ გინდა, - მითხრა გულწრფელად, - სულაც არ მინდა, რომ გახსოვდე.

ვერაფერი ვთქვი. ადგა და დასაძინებლად წავიდა. მე ყავის ფინჯნები სამზარეულოში შევიტანე. თავს უჩვეულოდ სუსტად ვგრძნობდი. ვგრძნობდი, შეცდომა დავუშვი, დაჟინებით რომ არ ვთხოვე, ჩემთვის ხელი ჩაეკიდა.

იმ ღამით მოკვდა. მე არაფერი გამიგია. გამთენიისას, როცა უძილობამ შემაწუხა, მის ოთახში შევედი და შევხედე თუ არა, მივხვდი, რაც მოხდა.

ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ მკვდარი იყო, მაგრამ ვგრძნობდი, ეს ბევრს არაფერს მეუბნებოდა.

ისევ ისეთი ლამაზი იყო, როგორც წინა ღამით. თითები ისევ ისეთი ჰქონდა, ნაზი და მამაკაცური. თვალებში ისევ ედგა სევდა, რომელსაც მე ისე შევეჩვიე, ვერც კი გავიაზრე, რომ იმ ღამეს შეიძლებოდა, მისთვის ბოლო მოეღო.

სამზარეულოში ჩავედი და ყავის ფინჯნები გავრეცხე. სახლი მივაღაგე, - ვიცოდი, რომ ეს საჭირო იყო.

ჩემს თავზე ვბრაზობდი, ვერაფერს რომ ვგრძნობდი. მინდოდა, მტკენოდა. მინდოდა, სასოწარკვეთილი ვყოფილიყავი - ქალი, რომელმაც ცხოვრების მამაკაცი დაკარგა, მაგრამ ვერაფრით ვიაზრებდი, რა მოხდა.

ცოტა ხანში მის ოთახში დავბრუნდი. მომეჩვენა, რომ იმ მოსასხამში, რომელიც ეცვა, ცხელოდა და ვიფიქრე, უნდა დავხმარებოდი. მოსასხამს რომ ვადრობდი, ხელი წამიერად მის ხელზე მომიხვდა და ვიგრძენი, განძრევა აღარ შემეძლო. შევხედე და სუნთქვა შემეკრა. მიყურებდა. თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი. ცივი იყო და სევდიანი. ხელზე კიდევ ერთხელ მოვკიდე ხელი და სუნთქვა გამიჭირდა, რადგან პირველად, სულ პირველად გავუგე ადამიანს, რომელიც მიყვარდა. უცებ მთელი სიცხადით ვიგრძენი, გუშინ რაზე ლაპარაკობდა... და პანიკურად დავიწყე მისი დამახსოვრება. ლოყები,

ხელები, ტუჩები, - ყველაფერი დავიმახსოვრე, ღრმად ჩავიბეჭდე ჩემს სხეულსა და გონებაში.

მერე, სამზარეულოში ჩავედი, ყავა ავადუღე, ტერასაზე დავჯექი და ბევრი ვიტირე, რადგან ვიცოდი - ის აღარ იყო, მე კი საკუთარ თავს მივუსაჯე, კარგად, ძალიან კარგად მხსომებოდა ადამიანი, რომელიც მიყვარდა.

ლიზი ახალაძე